შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 1573

16/01/2014

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების განკარგვის შესახებ.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების და განკარგვის წესი და პირობები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ექსპლოატაციისათვის უვარგისი ქონების განკარგვა.
2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შესახვის, შეფასების და განკარგვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ამ ბრძანებით განსაზღვრული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლევან დარასელია.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ნიკოლოზ კახეთელიძეს.

დანართი №1

№	შემოსავლების სამსახურის ყოფილი კონტროლის სამმართველოს შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული სასაქონ-ლო-მატერიალური ფასეულობების ჩამონათვალი	ზომის ერთეული	მთლიანი რაოდენობა	ერთეული საქონლის საბალანსო ღირებულება (ლარი)	საქონლის მთლიანი საბალანსო ღირებულება (ლარი)
1	მრავალღრუიანი პანელი (სიმკარი) ზომით, თითოეული 4,8X0.77მ.	ცალი	125	100.00	12500.00
2	მრავალღრუიანი პანელი (სიმკარი) ზომით, თითოეული 4,8X0.77მ.	ცალი	5	70	350.00
3	ლითონის კარი ჩარჩოთი ზომით 2.21X1.37მ	ცალი	1	200.00	200.00
4	ლითონის კარი ჩარჩოთი, შიდა მინით ზომით 2.5X1.1მ	ცალი	2	140.00	280.00
5	გისოსებში შემავალი არმატურა D-12მმ, ჯართი	კგ	75.00	0.33	24.75
6	გისოსებში შემავალი მილკვადრატი 30X20მმ, ჯართი	კგ	175,00	0.33	57.75
7	გისოსებში შემავალი კუთხოვანი 50X50მმ, ჯართი	კგ	575.00	0.33	189.75
8	თუნუქი ტალღისებრი ზომით თითოეული 1.45 X0.6 X0.04მ, ჯართი	კგ	2500.00	0.33	825.00
9	მეტალოკრამიტი ნაჭრები 9.15კვ.მ გამოთვლით ჯართი	კგ	81.00	0.33	26.73

ლაშა ხუციშვილი

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური